

მეცნიერის არქივიდან - FROM THE ARCHIVE OF THE SCHOLAR

† დევი ბერძენიშვილი

რეცენზია დარეჯან ქაქუცას ასულ კლდიაშვილის მიერ
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილ დისერტაციაზე:

„ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები

სინას მთისა და სამხრეთ საქართველოს მონასტრების
ხელნაწერებში შესული ალაპ-მოსახსენებლები“,
თბ., 2005

დარეჯან ქაქუცას ასულ კლდიაშვილის დისერტაცია ქართულ სამონასტრო სულთა მატიანეების შესწავლას ეძღვნება.¹ ესაა გაგრძელება იმ დიდი საქმისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს მარი ბროსეს, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის და სხვათა ამ მხრივ წარმოებულმა კვლევა-ძიებამ.

ნაშრომში წარმოდგენილი სულთა მატიანეები შეიცავენ ალაპ-მოსახსენებლებსა და მათთან დაკავშირებულ შენიშვნების აქტებს. აქ სრულიად ახალი და საინტერესო ინფორმაციის შემცველი მასალაა, რაც პირველად მიენოდება სამეცნიერო წრეებს. ავტორს მიზნად დაუსახავს სულთა მატიანეების კრიტიკულად დადგენილი ტექსტების მომზადება, მათი შესწავლა კოდიკოლოგიური, თუ ისტორიული თვალსაზრისით.

მიზანი საკმაოდ საპატიოა, რადგან ეს მატიანეები მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროა XIII-XVI საუკუნეების სამონასტრო ისტორიისათვის, ტაო-კლარჯეთის ანთროპონიმისა და ტოპონიმის შესასწავლად. შესაძლებელი ხდება ზოგიერთ საგვარეულოთა გენეალოგიების დადგენა, ეთნიკური და მიგრაციული პროცესებისათვის თვალის მიდევნება. დისერტანტის აზრით, აქ შემონახული „ცნობები ერთგვარ ახსნას უძებნიან იმ რთულ საგარეო და შიდაპოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც საბოლოოდ ტრაგიკული აღმორჩნდა სამეფო-სამთავროებად დაჩეხილი ქვეყნისათვის, რაც საქართველოს სამხრეთი პროვინციებისა და წმინდა მიწაზე არსებული ქართული სასულიერო კერების დაკარგვით დასრულდა“.

¹ ავტორის სტილი დაცულია.

ზემოთქმულს გარდა, ქართული ისტორიული თხზულებებისაგან განსხვავებით, ეს ალაპ-მოსახსენებლები ხშირად ასახავენ მათ შემდგენელთა, თუ გადამწერთა ფსიქოლოგიურ განწყობილებას. აქაც, სხვა ანდერძ-მინანერების მსგავსად, მოჩანან ბერ-მონაზვნები, რომლებიც ყოველი სულიერი თუ ფიზიკური შეჭირვებისას ღმრთისაგან ითხოვენ შველას, მას მიანდობენ პირად, ინტიმურ განცდებსაც.

დარეჯან კლდიაშვილის აზრით, მრავალრიცხოვანი შეწირულების აქტები და ალაპ-მოსახსენებლები, საიქიო ცხოვრებაზე ზრუნვის ძველი ქართული ტრადიციებისა და წარმოდგენების, ქრისტიანობის მხრივ შეთვისება-ტრანსფორმაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამიტომაც ის შესავალშივე მარჯვედ იყენებს ნაწყვეტს შალვა ქვენიფნეველის 1370 წლის საალაპე და სულის მოსახსენებელი წიგნიდან: „რამეთუ მინად მიქცევაჲ წინა-გვც ცოდვილთა და მართალთა. ესე სანუთოჲ უხანო და წარმავალ არს და აღდგომაჲ მკუდართა და განახლებაჲ საუკუნოჲსა ცხორებისა დაუსრულებელი და წარუვალ არს. ამისთვის გვიღირს, რათა ყოველნი საუკუნოჲსა ცხორებისათვის ვზრუნვიდეთ“ (გვ. 4-5). აქვე მოტანილია XVII ს-ის მაკარი ანტიოქელი პატრიარქის შეხედულება ქართველთა ამ მხრივ დასახასიათებლად, რითაც „ქართველები გამოირჩევიან მსოფლიოს სხვა ქრისტიანთაგან“ (გვ. 5).

დისერტანტი შესავალშივე გვამცნობს, რომ „სვინაქსარისა და სახარების გამოყენება კერძო პირთა ანუ შევედრებულთა ალაპ-მოსახსენებლების ჩასაწერად, მხოლოდ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. იგი XI ს-დან იერუსალიმის ჯვარის მონასტრიდან უნდა გავრცელებულიყო საქართველოს... სამხრეთ პროვინციებში“. ეს მნიშვნელოვნად აადვილებდა ჟამისწირვის დროს მათ გამოყენებას, რადგან „სვინაქსარი შეიცავდა მღვდელთმსახურების წლის კალენდარულ განრიგს და იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ალაპ-მოსახსენებელი შეეტანათ განესებული დღის შესაბამისად, როგორც წმინდანთა ხსენების ნებისმიერ დღეზე, ისე მოძრავ და უძრავ საუფლო დღესასწაულებზე“ (გვ. 18).

მკითხველისათვის სულთა მატიანეების ტექსტის გასაგებად, შესავალს მოყვება ლიტურგიკული ლექსიკონი.

ნაშრომის I ნაწილში განხილულია სინას სულთა მატიანის თავდაპირველი ტექსტი, მასში შესული სხვადასხვა ფენების მოსახსენებლები, ტექსტის შესწავლისა და შექმნის ისტორია, შედგენილობა და დათარიღება.

ავტორი აღნიშნავს, რომ „მოსახსენებელი და მატიანე პატიოსნისა წმინდისა მონასტრისა ღმრთისა დამყარებულისა სინისა“, ეკუთვნოდა იქაურ წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ კრებულს. ეს ეკლესია კი, ამავე მონასტერში მდებარე წმ. გიორგი მთავარმონამის ეკლესია უნდა იყოს, რომელიც XII ს-ის დამდეგს დავით აღმაშენებელმა ააგო. ამაზე მოგვითხრობენ დავითის ისტორიკოსი და მისი სომხურად მთარგმნელი. ამასვე ადასტურებს ორ სინურ ხელნაწერზე შემორჩენილი დავით მეფის ავტოგრაფული ჩანაწერი, ხელნაწერის იქ გაგზავნის თაობაზე რომ მოგვითხრობს. დისერტანტი

აქვე იმონებებს წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცულ ფერწერულ ხატს, რომელზედაც წმ. გიორგის გვერდით გამოსახული ახალგაზრდა მეფე, ბერძნულ-ქართული წარწერის მიხედვით, დავით აღმაშენებელია.

იქაური სულთა მათიანის დასაწყის საექტიტორო რიგში, მირიანისა და ვახტანგ გორგასლის შემდგომ, მათიანის დამწერი დავითს „აღმაშენებლად“ იხსენიებს. ჩვენი ავტორის მართებული განმარტებით, ეს სიტყვა აქ ეკლესიის „მაშენებლად“ უნდა გავიგოთ (გვ. 36).

დარეჯან კლდიაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველი მეფისა და სახელმწიფოს საგანგებო ლოცვაში მოხსენიება, სინაელი ბერებისათვის ტრადიციული ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს XI ს-ის ლიტურგიკულ კრებულში ჩართული სავედრებელი: „ქართლისა მშვედობისა, საზღვართა განგებისა, მეფეთა და მთავართა დანყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა, ტყუეთა მოქცევისა, უამთა დანყნარებისა, ქრისტიანობის დამტკიცებისათვის“. დისერტანტის მართებული აზრით, ამ სავედრებელს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და მოწოდებასავით გაისმის (გვ. 39).

ავტორი სინას სულთა მათიანეს XV ს-ის დასაწყისს მიაკუთვნებს, თუმცა აღნიშნავს, რომ მას ქრონოლოგიური განზიდულობა ახასიათებს. ძველი პალესტინური მოსახსენებელი და სააღაპე წიგნებიდან აქ შეტანილი უნდა იყოს მაშენებელთა, მეფე-დედოფალთა მოსახსენებლების ძველი ფენა, ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსთა ჯვარის მონასტრის მამების რიგი და ზოგიერთი კერძო მოსახსენებელი.

ასეთია ცალკე ნაკვეთად შესული ჩიდანისძეთა სახლის ვრცელი მოსახსენებელი. დარ. კლდიაშვილი არკვევს, რომ მათიანე შეუდგენია ელია-ყოფილ ელისე ჩიდანისძეს, ვეცნობით მოძღვარ დიონისე ჩიდანისძეს, მის ცოლ-ყოფილსა და შვილებს, რომელთაგან ელია-ყოფილი ელისე, „ამა მათიანისა ჴელითა მწერელი“, ანუ შემდგენელი ყოფილა. დისერტანტის ვარაუდით, ელისე წარმომავლობით შესაძლოა ფოთიდან ყოფილიყო, ამის დასტურად მას მიაჩნია ჩანანერი სინური ხელნაწერის სარესტავრაციოდ გამოყენებულ ქალაღზე ვინმე ფოთელი ჩიდანის მოხსენიებით (გვ. 43).

ძალიან საინტერესოა ფანასკერტელ-ციციშვილთა წმ[ინდა] მინაზე საექტიტორო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი თავი. ჩანს, რომ მათი ქველმოქმედება XIII ს-ის ნახევრიდან იწყება და გრძელდება შემდგომ ხანებშიაც. ავტორი ვარაუდობს, რომ XV ს-ის I მეოთხედის მიწურულს, ამილაბარ ფანასკერტელი და მასთან კეთილმოყვრობით დაკავშირებული ხელა თავხელიძე-მაჩაბელი, იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტრის მაშენებლად უნდა ვიგულოთ. ჯვარის მონასტრის აღაპებსა და სინას სულთა მათიანეებში მოხსენიებული ამილაბარი მას თავა ფანასკერტელის ძმად მიაჩნია.

დარეჯან კლდიაშვილი შესაძლებლად თვლის, რომ იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტერი, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის მეტოქედ

იყო განწესებული. მისი ერთ-ერთი დანიშნულება უნდა ყოფილიყო იერუსალიმსა და სინაზე მოღვაწე ქართველთა შეკავშირება, ასევე საქართველოდან წმ. მინაზე ჩასული მომლოცველებისა და შეწირულებათა გადაგზავნა (გვ. 58).

ციციშვილებთანაა დაკავშირებული სინას სულთა მატიანის III ფენის მოსახსენებლები, რომლებსაც დისერტანტი პირობითად მროველ შიო ციციშვილს მიაკუთვნებს. აქ იხსენიებიან შიოს ძმა ვახტანგი, ფარსადან და ამილღაბარ ციციშვილები, მათი რძალი მამქან-ყოფილი მარინე, ფარსადან ციციშვილის თანამეცხედრე როდამი.

ავტორი მროველყოფილი შიო ციციშვილის მოღვაწეობის ხანად XV-XVI ს-თა მიჯნას მიიჩნევს. ის უნდა იყოს XVI ს-ის 10-იან წლებში გამორჩეული ჯვარისმამის ბენა ჩოლოყაშვილის თანამდგომი. ბენამ წმ. იაკობის ეკლესიიდან სომხები, ხოლო გოლგოთიდან და უფლის საფლავის ეკლესიიდან ფრანცისკანელები გამოაძევა, რაზედაც „დიდი ჭირი და სასჯელი გარდახლომია“ (გვ. 59).

დანვრილებითაა განხილული ქართლში გადმოსულ ციციშვილთა ისტორია, არსებული მონაცემების გათვალისწინებით, გამოთქმულია ბევრი საყურადღებო მიხვედრა-ვარაუდი ციციშვილების გენეალოგიაზე.

ეხება რა 1483 წ. კონსტანტინე II-ის მომხრეებსა და ყვარყვარე II ათაბაგს შორის არადეთთან მომხდარ ბრძოლას, დარეჯან კლდიაშვილი წერს: „ეპიზოდი მაჩაბლისა და შალიკაშვილის ბრძოლის შესახებ ახალი ქართლის ცხოვრების ყველა გაგრძელებაშია დაცული, რაც ზემო ქართლში დანიშნურებული ამ ორი საგვარეულო სახლის მჭიდრო ურთიერთობის კიდევ ერთ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს“ (გვ. 65). აქ ალბათ უზუსტობაა: მაჩაბელსა და შალიკაშვილს შორის ბრძოლა მათი „მჭიდრო ურთიერთობა“ ვერ იქნება.

აქვე საგულისხმოა დისერტანტის ვარაუდი, რომ ათაბაგთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი მროველი ეპისკოპოსი, გამარჯვების შემდგომ მესხებმა რომ ათრიეს, უნდა იყოს მროველი შიო ციციშვილი, ვაჟი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისა. როგორც ჩანს, ამ ინციდენტის შემდეგ, მან ქართლში საეპისკოპოსო კათედრა მიატოვა და წმინდა მინაზე გაემგზავრა.

ზემოხსენებულ თავს აბოლოებს ავტორის მიერ შედგენილი, ფანასკერტელ-ციციშვილების შეძლებისდაგვარად სრული გენეალოგია XII-XVI სს-ში.

ჯვარისმამათა ქრონოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ მე-3 თავში დარეჯან კლდიაშვილი დანვრილებით განიხილავს მოსახსენებლების რამდენიმე ფენას. მათი გათვალისწინებით, დისერტანტი სინას სულთა მატიანეს XV ს-ის I ათწლეულით ათარილებს. მატიანის შედგენის შემდგომ შესულ მოსახსენებლებში, ჯვარისმამათა ქრონოლოგიას ადგენს ავტორი, აზუსტებს ადრე მიღებულ თარიღებს და მათ XV-XVI სს-ით განსაზღვრავს (გვ. 62-71). აქვე იგი პიმენ მანყვერელს დიასამიძეთა სახლის წევრად ვარაუდობს.

ამ თავში მნიშვნელოვანია ქართლის მთავარეპისკოპოსის და 11 წელიწადს იერუსალიმის ჯვარისმამად ნამყოფი იოვანე კვიტაშვილისადმი მიძღვნილი გამოკვლევა-კომენტარი. რაჭის ბეთლევის ეკლესიის ფრესკაზე გამოსახული ეს პიროვნება დარეჯან კლდიაშვილმა გააიგივა 1463 წ. მეფე გიორგი VIII-ის მიერ გაცემულ, სასისხლო სიგელში მოხსენიებულ ორალელიძე-კვიტასვილ მღვდელმონაზონ იოვანესთან. მისი ჯვარისმამობის 11-წლიანი პერიოდი განსაზღვრულია XV ს-ის 70-80-იანი წლების მიჯნიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე.

ხსენებული გვარსახელი, ცხადია, მოდის კვიტასაგან. ასეთი სახელის მქონე პირი უკვე X ს-შია მოხსენიებული რაჭის ზემო კრიხის წარწერაში. შემდგომშიაც კვიტაშვილები რაჭის წარჩინებული, ციხის მფლობელი საგვარეულოა („კვიტაშვილების ციხე“). ამიტომ ეგების გარკვეულიყო, რა კავშირი აქვთ საბუთში ნახსენებ ორალელიძე-კვიტასვილებს სამცხის სოფელ ორალთან (ორალელი), სადაც მანყვერელ ეპისკოპოსს საყანე მიწა და ბალი ჰქონია (ს. ჯიქია II, 42, III, 71). იქ ახლაც გვიანი შუა საუკუნეების ციხეა შემორჩენილი.

ხუნტუსძეთა საოჯახო მოსახსენებლებისადმი მიძღვნილ თავში, დისერტანტი მათ XV ს-ის II ნახევრით ათარიღებს (გვ. 78). აქვე ამ გვარს ხუნტუნისძის ფორმითაც იხსენიებს, მაგრამ არ განმარტავს რომელია პირველადი და მართებული.

ამავე თავში ავტორი ხელნაწერის „გვიან მომგებლად (შესაძლოა იოსებ ხუნტუსძის თანამედროვედ) მიიჩნევს ვინმე გერმანოზ ელმელიქისძეს. ეს კი შესაძლოა იყო შთამომავალი იმ სვიმონ ელმელიქისძისა, რომელიც ჯვარისმამად უნდა ყოფილიყო XIV ს-ის I მეოთხედში. ელმელიქისძეები იერუსალიმთან ჩანან დაკავშირებული გაცილებით ადრეც. ნიკოლოზ კატარანისძის მიერ XIII ს-ის I ნახევარში გადანუსხულ, მინიატურებით შემკულ სახარებას (A-26) ჰქონია დამკვეთის ანდერძი, სადაც იხსენიება ვინმე ელმელიქი და დოფი და მათი ძეები გიორგი და დადუნა“ (გვ. 77-78).

ამონაწერიდან ჩანს, რომ დარეჯან კლდიაშვილი სვიმონსა და გერმანოზს ერთი გვარის წარმომადგენელ ელმელიქისძეებად მიიჩნევს, თუმცა ამ ორი შემთხვევის გარდა, ასეთი გვარი არსად ჩანს. ეგების გამორიცხული არ იყოს ზემოთ სვიმონისა და გერმანოზის მამისშვილობით მოხსენიებაც. რაც შეეხება ნიკოლოზ კატარანისძის მიერ გადანუსხულ სახარებას, სადაც ელმელიქი და დოფი შვილებით დამკვეთები ჩანან, ისინი ბოლნისისხევში ანდიკის მონასტრის მაშენებლები უნდა იყვნენ. იქაური წარწერის მიხედვით, ეს ელმელიქი ფადლის ძეა და თავის „ძველსავე და მკვიდრ მამულში აგებს მონასტერს 1189 წ. (დმანისი IV, 224). ამდენად მისი ელმელიქისძედ ჩათვლა დაზუსტებას მოითხოვს.

სინას სულთა მატიანეში ზედგენისძეთა საოჯახო მოსახსენებლებისადმი დათმობილ თავში, დისერტანტი განიხილავს ამ საგვარეულოს წარ-

მომადგენელთა დამოკიდებულებას იერუსალიმის წმ. თეკლას მონასტრისადმი. იქ აღმოჩენილი წარწერების გათვალისწინებით, იგი მიდის სწორ დასკვნამდე, რომ XVI ს-ის დასაწყისის ამ მოსახსენებლებში ქაიხოსრო-ქრისტეფორე ზედგენიძის ჯვარისმამობა XVI ს-ის 20-30-იანი წლებით შეიძლება განისაზღვროს. მას იმავე ხანებში წმ. თეკლას მონასტერში აღმშენებლობა უნარმოებია, თუმცა პირველმაშენებელი არ ყოფილა.

ნაშრომის I ნაწილის ბოლო თავი XVI ს-ში ხანცთის სამრეკლოს მაშენებელსა და სინას სულთა მატიანის ბოლო შემავსებელს - მარკოზს ეთმობა. მისი ვინაობა-სადაურობის შესახებ ვიცყობთ მარკოზისძე/მარეკისძეთათვის შედგენილ მოსახსენებლებსა და მინაწერებში. კლარჯული წარმოშობის მარკოზი მღვდელმონაზონი ყოფილა, ივანე მონაზონის ძე. სინაზე ჩასვლამდე მას ხანცთის სამრეკლო აუშენებია. თავის ვედრებაში იგი ხანცთის აღმშენებლის - მამა გრიგოლის - კურთხევის შემდგომ, თავის, ვითარცა ხანცთის სამრეკლოს აღმშენებლის შენდობას ითხოვს.

ავტორი განიხილავს ქვემო ფორთაში, ხანცთის სამრეკლოზე შერჩენილ წარწერებს, სადაც ეს მარკოზი იხსენიება; იგი ასწორებს ლ. მენაბდისა და ვ. ჯობაძის შეხედულებებს მარკოზის შესახებ, უარყოფს მათ მიერ შემოთავაზებულ თარიღებს და სამრეკლოს აგებას XVI ს-ის მეოთხე ათწლეულში ვარაუდობს.

დარეჯან კლდიაშვილის აზრით, მარკოზი სინაზე XVI ს-ის 40-იანი წლების შუა ხანებში ჩასულა და წმ. ეკატერინეს მონასტერში გაჩერებულა, სადაც მას დიდი რაოდენობის შეწირულება ჩაუტანია.

დისერტანტი მარკოზისძეთა სახლის კიდევ ერთ წარმომადგენელს, ვინმე გიორგის გვაცნობს, რომელსაც XI ს-ში შავ მთაზე კალიპოსში გადანერილი, მინიატურებით შემკული ძვირფასი სახარება („ალავერდის ოთხთავი“) გამოუსყიდია და ხანცთის ეკლესიისათვის შეუწირავს. ეს თავი კიდევ ერთ საინტერესო ქართველ მოღვაწეს წარმოაჩენს.

აქვე ვეცნობით მარკოზისძე-მარაკისძეთა გენეალოგიას, ასევე ამირეჯიბ-გაბელისძეთა გვაროვნებით შტოს. თავს აბოლოებს სინას სულთა მატიანის ტექსტი, სადაც სხვადასხვა დროს შესული ექვსი ფენაა გამოყოფილი.

ნაშრომის II ნაწილი სამხრეთ საქართველოს მონასტრების სულთა მატიანეებს ეთმობა. აქ გამოკვლეულია სვინაქსარის სულთა მატიანეები მიძნაძორის, წყაროსთავისა და თისლის სვინაქსარის ალაპები და საბუთები, აგრეთვე სახარების სულთა მატიანეები წყაროსთავისა, ართვინისა და ბანის ხელნაწერი კრებულის მოსახსენებელი ნუსხა.

მიძნაძორის და წყაროსთავის სვინაქსარისა და სახარების სულთა მატიანეებში შეტანილი მოსახსენებლების უმეტესობა XV-XVI ს-ის I ნახევრისაა. აქ იხსენიებიან იმდროინდელი არისტოკრატიული გვარების წარმომადგენლები ბაგრატიონთა, ჯაყელთა სახლებიდან, ბოცოსძეები, აბუსერისძენი, ბაენასშვილები, ხურციისძეები, ფანასკერტელები, კავკასიძენი, კოპასძეები,

ამილახორები, შალიკაშვილები, დიასამიძენი, თავდგირიძეები, ანძაველები, ამატკისშვილები, ლასურისძენი, დუკისშვილები, ავალიშვილები, თუხარ-ლები, რჩეულიშვილები და სხვ.

ავტორის სიტყვით, „კლარჯული სულთა მატიანეები უტყუარ ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ არა მარტო დემოგრაფიული სურათისა და ქრონოლოგიურ-გენეალოგიური საკითხების შესასწავლად, არამედ რიგ შემთხვევაში თანადროული პოლიტიკური ვითარების ამსახველნიც არიან, დახმარებას გვინევენ ისტორიული ფაქტების დადგენა-გამოვლენაში“ (გვ. 153).

მიძნაძორის სვინაქსარის მატიანის მოსახსენებლებში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული სამხრეთ საქართველოს შიდაპოლიტიკური დაპირისპირებების შესახებ. აქ ჩანან ოპოზიციური დაჯგუფებების წევრები, ასევე ათაბაგთა ნათესაური კავშირები სამხრეთ საქართველოს წარჩინებულ საგვარეულოებთან. ასეთი პოლიტიკური ალიანსი ხელს უწყობდა სეპარატისტულ მისწრაფებებს და შედეგებიც შესატყვისი იყო. საინტერესოა, რომ ფარსადან გორგიჯანიძე ამ საკითხებთან დაკავშირებით, თემურლენგის შეკითხვაზე ასე ალაპარაკებს ათაბაგს: „ჩვენმან პაპამან მესხი თავადები დაიმოყვრა და მიფარვით შემოიფიცა და ქვეშ ქვეშ ურუმთ ჳელმნიფეს შეურიგდა. დაუნყო თავის ბატონს ურჩობა და სახასო მამულები უკუიჭირა... (საქართველოს მეფეს - დ. ბ.) მას აქეთ თუ არ მოყვრობით, თორადა მეფობით ჩვენზე ძალა არ შესწევსო“ (საისტ. მოამბ. II, 1925, 310).

ოსმალთა მიერ სწორად შეფასებულ ვითარებას მოყვა ის, რომ თავადებიდან და წვრილი აზნაურებიდან მათ აქცენტი ათაბაგთა სახლზე გადაიტანეს. დისერტანტს მოაქვს თურქული დოკუმენტი და აცხადებს - მათ „კარგად უწყოდნენ, რომ ყვარყვარეს დაქვემდებარებით, მთელი საქართველო იქნება დაპყრობილი... მხოლოდ მისი დაქვემდებარება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე 100 აზნაურის დამორჩილება“ (გვ. 157).

სინას მთისა და კლარჯულ სულთა მატიანეებზე დაყრდნობით, დარეჯან კლდიაშვილი არკვევს, რომ ქურცინა და მისი ძეები შალიკაშვილთა საგვარეულოს უნდა ეკუთვნოდნენ, ხოლო ათაბაგობის პრეტენდენტის მანუჩარის ცოლი - ასთანდარი, ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ასულია.

XVI ს-ის დამდეგიდან კლარჯულ სულთა მატიანეებში დისერტანტი ამჩნევს დასავლეთ საქართველოს სასულიერო და საერო პირთა მოსახსენებლების მოძალებას. ამას იგი ხსნის მჭიდრო ურთიერთობით, რაც მაშინ დამყარდა სამცხე-საათაბაგოს ერთ ნაწილსა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის: ჯაყელთა უმცროსი შტოს წარმომადგენლებს დასავლეთ საქართველოს სამეფო ხელისუფლება, გურულ-დადიანები, იმიერი წარჩინებული საგვარეულოები უჭერენ მხარს.

მრავლისმთქმელი და მნიშვნელოვანია თავი, მიძღვნილი თისლის სვინაქსარის აღაპებისა და საბუთებისადმი. ავტორი მას პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის ფოტოპირის მეშვეობით იკვლევს, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. მხედრულით შესრულებულ

120-მდე მინანერს ავტორი XIV ს-ის I ნახევრითა და XVI ს-ის დამლევით შემოფარგლავს. იგი მათ აჯგუფებს და მინანერთა შემსრულებლების 13 ხელს გამოყოფს.

თისლის ორი ეკლესიიდან დარეჯან კლდიაშვილი მონასტრად თვლის უგუმბათო, მოხატულ ეკლესიას და სვინაქსარს მას მიაკუთვნებს. მინანერების საფუძველზე იგი მონასტრის აგების თარიღად XIV ს-ის I ნახევარს აცხადებს. მინანერებში ჩანს, რომ მონასტერი შეწირულობებს იღებდა ახლომდებარე სოფლებიდან, ესენია - ტყემლუანა, ქორდვა, ასპინძა, გორი, ყვიბისი.

XV ს-ის I ნახევრის მინანერში, ვარამ დიასამიძე თისლის მონასტერს თავისად თვლის, ე. ი. დიასამიძეთა საგვარეულო მონასტრად. XVI ს-ის დასაწყისის სამცხე-საათაბაგოს თავადთა სია გვაუწყებს: „*ლობიერნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა დიასამიძესა აქუს*“. დისერტანტი ფიქრობს, რომ ეს მოვლენა XIV ს-ის დამლევიდანაა სავარაუდო. იგი არც იმას გამორიცხავს, რომ დიასამიძეები ლობიერთა ერთ-ერთი განშტოება იყო. ამის დასტურად მას მიაჩნია სახელი „დიასამ“-ის გამეორება, რომელმაც ახალ საგვარეულოს დაუდო საფუძველი.

სადიასამიძოს ტერიტორიის განსაზღვრისათვის ავტორი იშველიებს XVI ს-ის 30-იანი წლების თურქულ დოკუმენტს, სადაც ნათქვამია, რომ შერმაზან დიასამიძის „სამფლობელო ჯავახეთად წოდებული ადგილია“. აქედან არ ჩანს - ჯავახეთის რა ნაწილი, ან რომელი პუნქტები იგულისხმება შერმაზანის კუთვნილებად. ანყურის მოხსენიება ჯავახეთ-არტანთან თურქული დოკუმენტის შეცდომაა, ხოლო ჩვენი დისერტანტის მიერ ასპინძის ჯავახეთზე მითვლა არაა სწორი (გვ. 185).

186-ე გვერდზე დაზუსტებულია „პატრონი რუსას“ ვინაობა (XV-XVI ს.); დარ. კლდიაშვილის აზრით, ის ყოფილა ეკატერინე დიასამიძის დედა, ამირეჯიბის ასული.

191-ე გვერდზე ავტორისეულ კომენტარში ვიტყობთ, რომ XIV ს-ის I ნახევარში დაუნესებიათ ალაპი ფიფნას ასულ დოდასათვის, რომელმაც 300 თეთრი შესწირა „ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელს თისლისასა და მონაზონთა და მკვიდრეულთა მათ დედაბერთა საყდრის საგებად“. დისერტანტი ამის გამო შენიშნავს: „რომელი საყდრის საგებად გაიღო ფიფნას ასულმა შეწირულება ძნელი გადასაწყვეტია, მაგრამ თუ მონასტერი უკვე არსებობდა, ხომ არ იყო ეს საყდარი თისლის გუმბათიანი ეკლესია?“ ამაზე წინ, 182-ე გვერდზე, დარეჯან კლდიაშვილი იმავე შეწირულებას კითხვის ქვეშ თისლის უგუმბათო, მოხატული ეკლესიისათვის ვარაუდობდა.

უფრო მართებული იქნება, თუ აქ ყველგან თისლის უგუმბათო, მოხატულ, ღმრთისმშობლის სახელობის მონასტერს ვიგულისხმებთ. გალავნის შიგნით იქაა ეკვდერი, სხვადასხვა სამონასტრო ნაგებობანი და სენაკები. ნასახლარები ჩანს გალავნის გარეთაც, წყალგალმა. ყველა ამ სათავსოში

აღბათ განლაგებულნი იყვნენ მინანერებში მოხსენიებულნი „ძმანი“ (გვ. 45), „მონაზონნი და მკვიდრეულნი... დედაბერნი“.

გუმბათიანი ეკლესია, ახლაც რომ სასაფლაო აკრავს, იქნებოდა დიასამიძეთა „კარის ეკლესია“, რომლის სიახლოვეს მათივე ციხე და სასახლე იდგა, ნანგრევებად ახლაც შემორჩენილი.

თისლის სვინაქსარში გაჩენილია ალაპები მარიამ და მარკოზ ცლესარებისათვის. ისინი XV ს-თაა დათარიღებული. გამოდის, რომ ტოპონიმის ძველი ფორმა ყოფილა ცლესა (სლესა გვიანია), ეს კი მნიშვნელოვანი გახდება სახელის ეტიმოლოგიის ძიებისას.

კომენტარში პატრონ ყვარყვარეს ალაპის გამო ქორდვას მიცემული შენიშვნებისათვის, დისერტანტი წერს: „დასაშვებია, რომ ყვარყვარე II-ის შენიშვნებაში ლაპარაკია შიდა ქართლში მდებარე სოფ. ქორდზე“ (გვ. 195-196).

ასეთ შემთხვევაში დასამტკიცებელი იქნებოდა XV ს-ის შუა ხანებში რამდენად მიუწვდებოდა ყვარყვარე ათაბაგს ხელი გორთან მყოფ ქორდზე. უფრო ბუნებრივია ეს პუნქტი აწყურთან მდებარე ქორთა იყოს, რის შესაძლებლობას არც ავტორი გამორიცხავს (გვ. 186).

ქაიხოსრო II ათაბაგის მეუღლე, კონსტანტინე II-ის შვილიშვილი, ბაგრატ მუხრანბატონის ასული დედისიმედი, შვილის დაკარგვას იგლოვდა: „გარისხდა ღმერთი ცამდი ამალღებულის ჴელმწიფის შვილისა, დაკარგულის დიდის ათაბაგის ძისა... ორის საჴელმწიფოს სასახელოს შვილისა... პატრონის იანქოსაგან ღმერთი გარისხდა და... თორმეტის წლისა გათავდებოდა“ (გვ. 198). საინტერესოა იმდროინდელი შეხედულება: XVI ს-ში ათაბაგი ქართლის მეფის ტოლ ხელმწიფედ, საათაბაგო კი, ცალკე სახელმწიფოდ მიაჩნიათ...

მომდევნო კომენტარიდან ჩანს, რომ ვარამ დიასამიძის მეუღლე ნათია, ივანე ათაბაგის ასულია. მართებულია დასკვნა, რომ დიასამიძეები იმხანად მხარს უჭერენ ჯაყელების პოლიტიკურ განდგომილებას. შემდგომში კი, ვარამ დიასამიძის მიერ შიო ქართლის კათალიკოსისათვის, საპატიჟოდ ყვებისს ერთი გლეხის შენიშვნება, ამ შეცოდების მონანიებად მოჩანს (გვ. 199-200).

თავი ბოლოვდება ავტორის მიერ შედგენილი დიასამიძეთა გენეალოგიით, XV-XVI სს. (გვ. 202).

საერთოდ ამ მინანერებში ხშირადაა განგებ ამოფხეკილი ადგილები, მათი სხვა სახელებით ჩანაცვლება, რაც აშკარა გამოხატულებაა შინაგანი დაპირისპირებისა, მაშინდელ საზოგადოებას რომ ახასიათებს.

ბანას ხელნაწერის (XI ს.) გამო ავტორი წერს: „ამჟამად ხელნაწერის გამომხსნელის სახელი აღარ იკითხება. იგი მოგვიანებით განგებ ამოუფხეკიათ, სავარაუდოდ მზეჭაბუკის (†1516) მმართველობის დროს. მინანერში სიტყვა ‚დიდება‘ და ბატონის სახელი შეგნებულად ამოუშლიათ და შავი მელნით, მომსხო გრაფემებით ჩაუწერიათ: ‚ღმერთო წასწყმინდე‘ და ‚მზეჭაბუკი“ (ე. ი. „ღმერთო წასწყმინდე ბატონი მზეჭაბუკ ორთავე ცხოვრებაჲსა ამენ“). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახსენებელს მზეჭაბუკის სიცოცხლეშივე

უცვალეს სახე, რამდენადაც მისი წარწყმედა „ორთავე ცხოვრებასა“ მოთხოვნილი. ასე აქციეს მოსახსენებელი შეჩვენებად... გამოკვლევაზე თანდართულ ტექსტებში მკითხველი კიდევ ბევრ საგულისხმოს შეხვდება. მიძნაძორის სულთა მატთანეში მაგალითად, იკითხება „ღმერთო მოიხსენე ოფალო სანყალი და უღირსი სომხობისგან ქრისტიანედ მოქცეული ხითარყოფილი იაკობ მონაზონი ოდეს მოხვიდე სუფევათა შენთა“ (გვ. 256). ასევე დიოფიზიტები იქნებოდნენ მოსახსენებლებში შეტანილი, სომხური სახელების მატარებელი პირები.

თისლის სვინაქსრის სულთა მატთანეში იკითხება: „ალაპი ტანუტერამვილისა ნიკოლოზასი“ (გვ. 111). ჩანს, აქ სომხად ჩანერილი მამასახლისობის საპირისპირო მოვლენაა.

მოსახსენებლების პირთა სახელებში ხშირად ჩანს წარმომავლობის მაჩვენებელი ტოპონიმები: ძუჭლელი (ძუჭლი), კამნიაგარელი (კამნიაგარა), ხვალელი (ხვალა), ბადელელი (ბადელა), ღართელი (ღართა), ნატაძრეველი (ნატაძრევი), კოხტიელი (კოხტა), ზესიელი (ზესი), ამაღლებელი (ამაღლება).

იკითხება, როგორ თანდათან იცვლება საგულისხმო ქართული სახელები უცხოურით: ალვისა, ლომთაგორი, მიგონებდისი, კარგიბედი... აქვეა ულუზათუნ, კირსულთან, გოზალბეგ, აზატმელიქ, შაჰაზიზ და სხვ.

საზოგადოდ მიმაჩნია, რომ დარეჯან კლდიაშვილის ნაშრომი წარმატებულად მიყვება ცნობილი, უახლოესი წინამორბედი მკვლევრების ქრ. შარაშიძის, ელ. მეტრეველის, ნ. შოშიაშვილის ნამოღვაწარს.

„არაფერი არ იკარგება, არაფერი არასდროს, და ყველა დრონი ერთი დროა; ყველა მათ გარდაცვლილთ წარსულში, არ უცხოვრიათ, ვიდრე მათი დახასიათებით ჩვენ არ მივეციით იმათ სიცოცხლე. და თვალეები მათი გვიხმობენ უკუნეთიდან. აი, რის გვეჯერა ისტორიკოსებს. და გვიყვარს ჩვენ ჭეშმარიტება“. რობერტ პენ უორენის¹ ეს სიტყვები ასეთ ნაშრომებსა და მათ ავტორებზეა თქმული.

წინამდებარე დისერტაცია მასალის სიახლის გამო დიდი ინტერესით, ერთი ჩაჯდომით იკითხება, მაგრამ აქ არა მარტო ახალი ფაქტებია ამეტყველებული, არამედ მათი ახსნისა და განზოგადების უდავო შედეგებიც გვაქვს.

ვშუამდგომლობ სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა დარეჯან კლდიაშვილს მიენიჭოს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

¹ რობერტ პენ უორენი (1905-1989), ცნობილი ამერიკელი მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი (- რედ.).